განმარტებითი ბარათი

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

თეატრებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობით გაცხადებული მიზნების ეფექტიანი და დროული იმპლემენტაციის მიზნით, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების მართვასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურ მოწესრიგებას. მოქმედი კანონის მიხედვით, სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრავს მის შემოქმედებით მიმართულებას და პასუხს აგებს თეატრის ფუნქციონირებისთვის. ამასთანავე, „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს თეატრის დირექტორის თანამდებობას, რომელიც მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს თეატრის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას. თეატრის მართვის აღნიშნული ფორმა არ არის მოქნილი და ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე გამოწვევების გადაჭრას, შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ორი თანამდებობის გაერთიანება და თეატრის ერთპიროვნულ ხელმძღვანელად თეატრის დირექტორის განსაზღვრა, რომელიც განახორციელებს თეატრის შემოქმედებით, საფინანსო, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობა თეატრის ხელმძღვანელის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით შეიცავს იმპერატიულ ნორმებს, არ ითვალისწინებს კონკურსის წესით ხელმძღვანელის დანიშვნას, ასევე, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე სათანადოდ არ აწესრიგებს თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს. ასევე, თეატრის სპეციფიკას არ არის მორგებული თეატრისა და შემოქმედებით კოლექტივის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები.

გარდა აღნიშნულისა, „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის პროცესმა გამოკვეთა გარკვეული ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სრულყოფასა და ახლებულ მოწესრიგებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ვეღარ პასუხობს თეატრის სპეციფიკასა და არსებულ გამოწვევებს. თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელისა და თეატრის დირექტორის თანამდებობების ერთდროულად არსებობა იწვევს მათ შორის უფლებამოსილებების აღრევას, მართვის შეფერხებას, ანგარიშვალდებულების პრინციპის სათანადო რეალიზაციასა და ვერ უზრუნველყოფს თეატრის სათანადო ფუნქციონირებას. თეატრის ხელმძღვანელისთვის ვიწრო და

სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა ხელს უშლის შესაბამისი მენეჯერული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის მოძიებასა და დასაქმებას, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება თეატრების ფუნქციონირებაზე. მოქმედი კანონი ასევე ბუნდოვნად არეგულირებს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას თეატრსა და შემოქმედებით კოლექტივს, მოწვეულ სპეციალისტებს შორის, რაც იძლევა ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. პროექტით ასევე განისაზღვრება კონკურსის წესით თეატრის დირექტორის დანიშვნის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდებისა და ამ დარგში დასაქმებული პირების მოზიდვასა და დაინტერესებას. ამდენად, ზემოაღნიშნული საკითხების ახლებური მოწესრიგების საჭიროება განაპირობებს „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის აუცილებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით ახლებურად ჩამოყალიბდება პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ნათლად განისაზღვრება თეატრთან დაკავშირებული შრომით სამართლებრივი საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ახლებურად განისაზღვრა პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების მართვასთან დაკავშირებული საკითხები. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს თეატრის მართვის ორსაფეხურიანი მოდელის გაუქმებას, კერძოდ, თეატრს ერთპიროვნულად უხელმძღვანელებს თეატრის დირექტორი და გაუქმდება სამხატვრო ხელმძღვანელის, როგორც თეატრის საერთო ხელმძღვანელის თანამდებობა. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, დაკორექტირდა „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები.

კანონპროექტის მიხედვით მოწესრიგდა თეატრის დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი და საფუძვლები, მათ შორის, განისაზღვრა კონკურსის საფუძველზე, დირექტორობის კანდიდატის შერჩევის შესაძლებლობა.

თეატრის სპეციფიკისა და შემოქმედებითი ბუნების გათვალისწინებით, კანონპროექტით განისაზღვრა სპეციალური ნორმა თეატრთან დაკავშირებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების კუთხით.

თეატრის მართვის მოდელის ცვლილებიდან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს გარდამავალ ნორმებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან ეს უკანასკნელი მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას.

ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების წყაროა შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციის ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ კომპენსაციების გაცემის შემთხვევაში გავლენა იქნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე საშემოსავლო გადასახადის სახით. გავლენის ოდენობა დამოკიდებულ იქნება შესაბამისად კომპენსაციის მიმღებ პირთა რაოდენობასა და გასაცემი კომპენსაციის ოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტით განისაზღვრება შესაბამისი კომპენსაციის გაცემის შემთხვევები. შესაბამისად, ამ საკანონმდებლო ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაზრდის მიმართულებით, მისი ოდენობა კი კონკრეტულ შემთხვევებზეა დამოკიდებული.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიხედვით ამ კანონის ამოქმედებამდე დანიშნული პროფესიული სახელმწიფო და პროფესიული მუნიციპალური თეატრების დირექტორები ამ კანონის ამოქმედებისთანავე გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან. ამ კანონის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ისინი დაინიშნებიან იმავე თეატრის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში თუ ისინი არ გამოხატავენ წერილობით თანხმობას იმავე თეატრში ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, ან არ იარსებებს იმავე თეატრში ვაკანტური თანამდებობა, გათავისუფლებულ პირს შესაბამისი თეატრის მიერ მიეცემა კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს 3 თვის ოდენობით. ამდენად, ამ კანონის ამოქმედებამდე დანიშნულ პროფესიულ სახელმწიფო და პროფესიულ მუნიციპალური თეატრების დირექტორებზე ექნება გარკვეული ფინანსური გავლენა, რაც დამოკიდებულია მათ მიერ ნების გამოვლენასა და შესაბამის თეატრში არსებულ საშტატო ერთეულების არსებობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, რატი იონათამიშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ვიქტორ ჯაფარიძე, სოზარ სუბარი, ნოდარ ტურძელაძე, ირმა ზავრადაშვილი, ლევან მაჭავარიანი, რამინა ბერაძე, ირაკლი კირცხალია, სალომე ჯინჯოლავა, თორნიკე ბერეკაშვილი, გენრიეტა წიწავა, მამუკა მდინარაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, რატი იონათამიშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ვიქტორ ჯაფარიძე, სოზარ სუბარი, ნოდარ ტურძელაძე, ირმა ზავრადაშვილი, ლევან

მაჭავარიანი, რამინა ბერაძე, ირაკლი კირცხალია, სალომე ჯინჯოლავა, თორნიკე ბერეკაშვილი, გენრიეტა წიწავა, მამუკა მდინარაძე.